

**პროგრამის სახელწოდება: სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი
საგანმანათლებლო პროგრამა**

პროგრამის ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი ხათუნა ტვილდიანი

პროგრამის მოცულობა კრედიტებში - 300კრედიტი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - დიპლომირებული სტომატოლოგი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება ეძლევა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც გაივლის ერთიან ეროვნულ გამოცდებს და მიღებული ქულების საფუძველზე მოიპოვებს სწავლის უფლებას, აგრეთვე უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ პირებს უნივერსიტეტის მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქის ქართული ენის ცოდნის კომპეტენციის დონის დასადგენად ორგანიზებული გამოცდის (რომელიც მოიცავს: მოსმენას, წაკითხული ტექსტის გააზრებასა და ანალიზს, საუბარს) შედეგად დადასტურებული ცოდნის (B1 დონე) ან ქართული ენის B1 დონის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე. უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად

სწავლების ენა - ქართული

პროგრამის მიზანია: კურსდამთავრებულთა სტომატოლოგიური პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავება, რაც გულისხმობს დარგის თეორიული საფუძვლების ცოდნასა და კლინიკური უნარ-ჩვევების ფლობას.

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან - კონკურენტუნარიანი სამედიცინო კადრების მზადება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამის მიზნები თანხვედრაშია დარგობრივ მახასიათებელთან. კერძოდ, კურსდამთავრებულს შესძინოს:

- საბაზისო, კლინიკური, ქცევითი და სოციალური მეცნიერებების საფუძვლების ცოდნა
- სტომატოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკის, დიფერენციალური დიაგნოზის ჩატარების, დაავადების მართვის და მკურნალობის გეგმის დასახვის უნარი
- სტომატოლოგიურ დაავადებათა პრევენციის ინდივიდუალური რეკომენდაციების შემუშავების და გატარების უნარი
- სტომატოლოგიური მანიპულაციებისა და კლინიკური პროცედურების ჩატარების უნარი
- დამოუკიდებლად სამედიცინო ინფორმაციის მოპოვების და კრიტიკულად შეფასების უნარი
- დროის მართვის და გუნდური მუშაობის უნარი
- სამეცნიერო ცოდნისა და ტექნოლოგიური წინსვლის შესაბამისი სამედიცინო განათლების და უწყვეტი სამედიცინო განათლების მოტივაცია
- სამედიცინო კონტექსტში მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენების უნარი
- პაციენტის პატივისცემა, მათი ინტერესების გათვალისწინების უნარი, მიუხედავად მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური და ეთნიკური კუთვნილებისა
- უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში ადაპტირების უნარი
- ახლი, ორიგინალური გზების ძიების უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

სწავლის შედეგები

1. ცოდნა და გაცნობიერება

- ✓ **საბაზისო ბიოსამედიცინო, კლინიკური, ქცევითი და სოციალური მეცნიერებების ცოდნა**
- მიმოიხილავს ადამიანის (მათ შორის თავის, კისრისა და პირის ღრუს) აგებულებას (ანატომია, ტოპოგრაფიული ანატომია, ციტოლოგია /ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია), ფუნქციონირებას და მეტაბოლიზმს (ფიზიოლოგია, ბიოქიმია); აჯამებს ბიოლოგიის, მიკრობიოლოგია- პარაზიტოლოგიის, გენეტიკისა და მემკვიდრულ დაავადებების, პათოლოგიის ცოდნას.
- მიმოიხილავს მოზრდილთა და ბავშვთა დაავადებების დიფერენციალურ დიაგნოსტიკას და დიაგნოსტიკას, კლინიკურ სურათს, მკურნალობის გეგმას (მათ შორის სამკურნალო საშუალებების შერჩევას) და პრევენციული ზომების მიღებას არასპეციალისტის კლინიკური დისციპლინების ჩათვლით. იცნობს პრევენციულ მედიცინას და რადიაციულ უსაფრთხოებას.
- განსაზღვრავს პირველადი დახმარების საჭიროებას - აფასებს სიტუაციას, სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობებს და პოულობს მათზე რეაგირების წესებს.
- იცნობს და აღწერს სტომატოლოგიაში გამოყენებულ მასალებს.
- ახდენს მოზრდილთა და ბავშვთა ასაკის თერაპიული და ქირურგიული ოდონტოგენური და არაოდონტოგენური დაავადებების, ასევე, განვითარების მანკების კლასიფიცირებას, განსაზღვრავს ეტიოლოგიურ ფაქტორებს, მიმოიხილავს დიფერენციალურ დიაგნოსტიკას და დიაგნოსტიკას, კლინიკურ მიმდინარეობას, მკურნალობის ძირითად პრინციპებს და პრევენციას. აღწერს იმპლანტებით მკურნალობის ზოგად პრინციპებს.
- მიმოიხილავს ნაწილობრივ და სრულ ადენტას, აღწერს მათ ეტიოლოგიას, კლასიფიკაციას, დაავადების მართვას და აჯამებს მკურნალობის ძირითად პრინციპებს; მიმოიხილავს გნათოლოგიას, როგორც ყბა-კბილთა სისტემის ორგანოთა მორფო-ფუნქციურ ურთიერთკავშირს.
- მიმოიხილავს ყბა-კბილთა სისტემის თანდაყოლილ და შეძენილ ანომალიებს, აღწერს მათ ეტიოლოგიას, აჯამებს ორთოდონტიული პაციენტის გამოკვლევის მეთოდებს, დიაგნოსტიკას, მკურნალობის დაგეგმარებას.
- იცნობს ჯანმრთელობის ფსიქოლოგიის ძირითად დებულებებს და პარადიგმებს, განსაზღვრავს სწორი ცხოვრების წესს.
- იცავს ქცევის იმ ნორმატივებს, როგორც არის ეფექტური, კვალიფიციური, არადამამცირებელი, თანაგრძნობაზე დაფუძნებული და სოციალურად მისაღები სამედიცინო მომსახურება, მათ შორის შშმ პირებთან მიმართებაში; იცნობს საკანონმდებლო ბაზას და საერთაშორისო დოკუმენტებს, რომლებიც არეგულირებენ სამედიცინო საქმიანობას და ჯანდაცვის პოლიტიკას.

2. უნარები

- ✓ **პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა**
- ირჩევს და პრაქტიკაში გამოიყენებს სუბიექტური და ობიექტური გამოკვლევების მეთოდებს.
- კლინიკური სურათიდან გამომდინარე განსაზღვრავს სტომატოლოგიის სხვადასხვა მიმართულების და ზოგადად მედიცინის დარგის სპეციალისტების ჩართულობის საჭიროებას.
- იცავს დეონტოლოგიის პრინციპებს - პაციენტთან, მის თანმხლებ პირთან კომუნიკაციის ეთიკურ ნორმებს.
- ✓ **კლინიკური შემთხვევის შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, წინასწარი დიაგნოზის დასმა, დიფერენციალური დიაგნოსტიკა, დაავადების მკურნალობის გეგმის შესახებ მსჯელობა**
- პრაქტიკაში იყენებს ძირითადი და დამატებითი გამოკვლევის მეთოდებს.
- განსაზღვრავს სწორი დიაგნოზის დასმის მიზნით ჩასატარებელი კლინიკური თუ ლაბორატორიული გამოკვლევების საჭიროებას.
- აანალიზებს გამოკვლევების შედეგებს; აფასებს დაავადების კლინიკურ სურათს და აკეთებს დასკვნებს სწორი დიაგნოზის ირგვლივ დიფერენციალური დიაგნოსტიკის გათვალისწინებით.
- ადგენს მკურნალობის გეგმას.

✓ დახმარების გაწევა გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების დროს (პირველადი დახმარება)

- ამოიცნობს და აფასებს სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობებს და ახდენს დროულ რეაგირებას.
- აფასებს სასიცოცხლო მაჩვენებლებს და ახდენს მათ ანალიზს.
- სწორად და თანმიმდევრულად მოქმედებს ადამიანის სიცოცხლისთვის საშიშ სიტუაციებში - აკეთებს შესაბამის დასკვნებს და საჭიროების შემთხვევაში მოქმედებს ადეკვატურად.
- საჭიროების შემთხვევაში პაციენტს დროულად აღმოუჩენს პირველად სამედიცინო დახმარებას სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების მიზნით.

✓ მედიკამენტების შერჩევა და გამოწერა

- მსჯელობს თანამედროვე სამკურნალო საშუალებების ძირითად ჯგუფებზე, მათ ქიმიურ ბუნებაზე, მოქმედების მექანიზმებზე, ტოქსიკოლოგიურ პოტენციალზე.
- სტომატოლოგიაში დაავადების კლინიკური მიმდინარეობიდან გამომდინარე სწორად ირჩევს და ნიშნავს სამკურნალო საშუალებებს დოზირების გათვალისწინებით, პაციენტს აძლევს რჩევა-დარიგებას.
- მართავს ტკივილს სტომატოლოგიაში.

✓ სტომატოლოგიური კაბინეტის აღჭურვილობა, ინფექციებთან ბრძოლა და მათი პრევენციის გზები

- განსაზღვრავს სტომატოლოგიური კლინიკების ერგონომიკას.
- აორგანიზებს სტომატოლოგიური კაბინეტის აღჭურვას თანამედროვე აპარატურისა და ინსტრუმენტების გამოყენებით.
- სტომატოლოგიურ კაბინეტებში უზრუნველყოფს ინფექციების პრევენციასა და კონტროლს, პერსონალის უსაფრთხოების ზომების დაცვას.

✓ პრაქტიკული (კლინიკური) პროცედურების ჩატარება

- ზომავს სასიცოცხლო მაჩვენებლებს და აანალიზებს (შიფრავს) მიღებულ შედეგებს, საჭიროების შემთხვევაში მოქმედებს ადეკვატურად.
- პრაქტიკაში იყენებს საიზოლაციო სისტემებს.
- მოზრდილებსა და ბავშვთა ასაკში კარიესის პრევენციის მიზნით ატარებს მარემინერალიზებელ თერაპიას - არჩევს სამკურნალო საშუალებებს და ახორციელებს პროცედურებს ფანტომ-მულაჟზე და პირის ღრუში.
- მოზრდილებსა და ბავშვთა ასაკში მკურნალობს არაკარიესულ და კარიესულ დაავადებებს, რაც, თავის მხრივ მოიცავს პრეპარირებას, საჭირო მასალის შერჩევას, დაბჟენას ფანტომ-მულაჟზე და პაციენტზე, მოსალოდნელი გართულებების პრევენციას.
- მოზრდილებსა და ბავშვთა ასაკში ატარებს ენდოდონტიურ მკურნალობას, სადაც მოიზრება მკურნალობა ბიოლოგიური/ქირურგიული მეთოდით, არხების პრეპარირება, კლინიკური სურათიდან გამომდინარე საჭირო მასალის შერჩევა, ქიმიური და თერმული დამუშავება, დაბჟენის მეთოდის შერჩევა და დაბჟენა რენტგენის კონტროლით ფანტომ-მულაჟზე და პირის ღრუში, რენტგენოლოგიური გამოკვლევის შედეგების შეფასება და ანალიზი, მოსალოდნელი გართულებების პრევენცია.
- მკურნალობს პაროდონტის დაავადებებს, კერძოდ, განსაზღვრავს ჰიგიენურ და პაროდონტულ ინდექსებს, ადგენს პაროდონტულ რუქას, ატარებს პროფესიულ ჰიგიენას და საჭირო მანიპულაციებს ფანტომ-მულაჟზე და პირის ღრუში, ახდენს სამკურნალო საშუალებების შერჩევას და მოსალოდნელი გართულებების პრევენციას.
- მკურნალობს პირის ღრუს ლორწოვანი გარსის, ტუჩის, ენის დაავადებებს, რაც, თავის მხრივ, მოიცავს ადეკვატური სამკურნალო საშუალებების შერჩევას, პრაქტიკული უნარების დემონსტრირებას ფანტომ-მულაჟზე და პირის ღრუში, მოსალოდნელი გართულებების პრევენციას.
- ირჩევს ადგილობრივი ანესთეზიის ჩატარებისთვის საჭირო საანესთეზიო საშუალებებს; ფანტომ-მულაჟზე და პირის ღრუში ატარებს აპლიკაციურ, ინფილტრაციულ, რეგიონულ ანესთეზიას; ახდენს მოსალოდნელი გართულებების პრევენციას.

- ირჩევს სარძევე/მუდმივი კბილების და ფესვების ექსტრაქციისთვის საჭირო ინსტრუმენტებს; ახდენს კბილების და ფესვების ექსტრაქციას ფანტომ-მულაჟზე და პირის ღრუში.
- ყბა-სახის ქირურგიაში ამბულატორიული ქეისების დროს ახდენს განაკვეთების გატარებას, ნაკერის დადებას, ჭრილობის დამუშავებას, მოსალოდნელი გართულებების პრევენციას.
- განსაზღვრავს იმპლანტის ჩაყენების ჩვენებებს; ირჩევს საჭირო ინსტრუმენტებსა და მასალას; ახორციელებს იმპლანტის ჩაყენებას ფანტომ-მულაჟზე; ახდენს მოსალოდნელი გართულებების პრევენციას.
- განსაზღვრავს ორთოპედიული მკურნალობის გეგმას ნაწილობრივი და სრული ადენტიის, ასევე, იმპლანტზე დაყრდნობილ კონსტრუქციაზე მუშაობის დროს; ირჩევს საჭირო მასალას; აპრეპარირებს კბილებს ფანტომ-მულაჟზე და პირის ღრუში სხვადასხვა ორთოპედიული ქეისების დროს; ამზადებს და არგებს პირის ღრუში მოუხსნელ და მოსახსნელ კონსტრუქციებს; პაციენტთან ან მის თანმხლებ პირთან კომუნიკაციისას იცავს ეთიკურ ნორმებს; ახდენს მოსალოდნელი გართულებების პრევენციას.
- აგეგმარებს ორთოდონტიულ მკურნალობას; ახორციელებს ორთოდონტიული პაციენტების მკურნალობას/მკურნალობის დროს ექიმის ასისტირებას განსხვავებული გენეზის პათოლოგიების დროს სხვადასხვა ტიპის აპარატების გამოყენებით; ახორციელებს ორთოდონტიული კონსტრუქციების მორგება-ფიქსაციას ფანტომ-მულაჟზე; ატარებს პროფილაქტიკურ ღონისძიებებს.
- უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში ეძებს რთული პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალურ გზებს; კრიტიკულად აანალიზებს რთულ ან არასრულ ინფორმაციას; ახდენს ინფორმაციის ინოვაციურ სინთეზს, აფასებს და აყალიბებს დასკვნებს ეთიკური პრინციპების დაცვით.

✓ ეფექტური კომუნიკაცია

- პაციენტთან ურთიერთობის დროს ახორციელებს ეფექტურ, კვალიფიციურ, არადამამცირებელ, თანაგრძნობაზე დაფუძნებულ და სოციალურად მისაღებ სამედიცინო მომსახურებას სოციალური, კულტურული, რელიგიური, ეთნიკური მოცემულობის გათვალისწინებით, მათ შორის, შშმ პირებთან და ნეირო და მენტალური დარღვევების მქონე პაციენტებთან მიმართებაში.
- ახალისებს პაციენტის ინდივიდუალური არჩევანის უფლებას და მის განხორციელებას.
- ✓ სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება
- პატივს სცემს პაციენტის უფლებებს, იცავს კონფიდენციალობას.
- სამედიცინო პრაქტიკაში მუშაობს ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების დაცვით. იყენებს ბიოეთიკურ დოკუმენტებს და ჯანდაცვის პოლიტიკის ეთიკურ ასპექტებს.

✓ პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება

- განსაზღვრავს სტრესის წყაროს, მათ შორის სტომატოლოგიურ დაავადებებთან, ანომალიებთან, პათოლოგიურ მდგომარეობებთან მიმართებაში.
- უზღუნველყოფს პაციენტის ფსიქოლოგიურ და სოციალურ მხარდაჭერას, უმკლავდება პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და სტრესს.

3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

✓ მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარების და ცოდნის გამოყენება

- განსაზღვრავს სამედიცინო კვლევების საჭიროებას.
- იყენებს სამედიცინო საძიებო სისტემებს, ინტერნეტ-რესურსებს.
- აფასებს მეტა-ანალიზს, კლინიკურ კვლევებს, ინფორმაციის სანდოობას და იყენებს მათ პრაქტიკაში.

✓ სამედიცინო და სტომატოლოგიურ კონტექსტში ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება

- ინტერნეტში მუშაობისას იყენებს ინფორმაციის მოძიების სხვადასხვა ხერხებს.

- ქმნის საერთო (საზიარო) ელექტრონულ ანგარიშებს (მათ შორის სამედიცინო დოკუმენტაციის) და მუშაობს მათთან.
- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებისას, ასევე, ინფორმაციის მიწოდების, გამოყენების, გასაჯაროების დროს მოქმედებს ეთიკური და პროფესიული პრინციპების დაცვით.

✓ **სტომატოლოგიურ პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება**

- განსაზღვრავს მედიცინაში კვლევის ემპირულ მეთოდებსა და სრატეგიებს, სოციალური კვლევების პრინციპებსა და მეთოდოლოგიებს.
- ახორციელებს მასალის მოძიებას, კრიტიკულ ანალიზს, სისტემატიზაციას, ემპირიული და თეორიული მასალის შეჯერებას, კვლევის შედეგების პრეზენტაციას ზეპირი და წერილობითი ფორმით.
- ახორციელებს ჯანდაცვის სხვადასხვა სფეროში არსებული პრობლემების კვლევის შეფასებას, აკეთებს შესაბამის დასკვნებს.
- ეფექტურად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.
- მოქმედებს პროფესიული პასუხისმგებლობით ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვით.

✓ **ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართულობა, ჯანდაცვის სისტემაში აქტიური მუშაობა**

- ახდენს დაავადებათა პრევენციის ინდივიდუალური რეკომენდაციების შემუშავებას და მათ პრაქტიკაში განხორციელებას.
- განსაზღვრავს ბავშვთა და მოზრდილთა ჯანმრთელობის მაჩვენებლებს.
- ადგენს სანიტარული ნორმების დარღვევით გამოწვეულ სხვადასხვა პროფესიულ მავნე აგენტებს და ახდენს შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.
- ახორციელებს პრევენციული ღონისძიებების გატარებას და ჰიგიენური ნორმების დაცვას ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და დაავადებების პრევენციის მიზნით.
- მიღებულ ცოდნას იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.
- მონაწილეობას ღებულობს ჯანდაცვის ხელშეწყობ ღონისძიებებში და აანალიზებს მსგავსი აქტივობების აუცილებლობას.

პროფესიონალიზმი (ღირებულებები, ქცევა, დამოკიდებულება)

- განსაზღვრავს საკუთარი კომპეტენციის არეალს და მუშაობს პროფესიული ეთიკის ფარგლებში.
- პროფესიული ეთიკის ფარგლებში იცავს პაციენტის ინტერესებს და კონფიდენციალურობას.
- პაციენტის მკურნალობის პროცესში იცავს საექიმო ეთიკის ნორმებს პროფესიული პასუხისმგებლობის გათავისების გათვალისწინებით.
- პროფესიული საქმიანობის დროს იცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს კოლეგებთან მამართებაში.
- მუშაობს გუნდურობის პრინციპით, დროის მენეჯმენტის მართვით.
- მონაწილეობს სტომატოლოგიის სფეროსა და ზიგადი ეთიკური ღირებულებების ფორმირების პროცესში.
- დამოუკიდებლად წარმართავს — სწავლის პროცესს, აცნობიერებს სწავლის პროცესის თავისებურებებს და ახორციელებს სტრატეგიულ დაგეგმვას.
- ითავისებს უწყვეტი პროფესიული განვითარების აუცილებლობას.
- აფასებს საკუთარი სწავლის შედეგებს და განსაზღვრავს შემდგომი სწავლის საჭიროებას.
- ადვილად ახდენს მულტიდისციპლინურ გარემოში ადაპტირებას და გარემოს მართვას ახალი სტრატეგიული მიდგომების გამოყენებით.

პროგრამის სტრუქტურა

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა არის 5 წლიანი, შედგება ათი სემესტრისაგან. სწავლება ხუთი წლის განმავლობაში მოიცავს 300 კრედიტს. აღნიშნული 300 კრედიტიდან 287 კრედიტი არის სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები, ხოლო 13 კრედიტი არის სავალდებულო თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები.

1. საბაზისო ბიოსამედიცინო სავალდებულო სასწავლო კურსები - 63 კრედიტი;
2. სტომატოლოგიის პრეკლინიკური სავალდებულო სასწავლო კურსები - 50 კრედიტი;
3. სტომატოლოგიის კლინიკური სავალდებულო სასწავლო კურსები - 106 კრედიტი;
4. კლინიკური სავალდებულო სასწავლო კურსები - 33 კრედიტი;
5. ზოგადი სავალდებულო სასწავლო კურსები - 25 კრედიტი;
6. სამეცნიერო უნარ-ჩვევების სავალდებულო სასწავლო კურსები - 10 კრედიტი;
7. სავალდებულო არჩევითი თავისუფალი სასწავლო კურსები - 13 კრედიტი.

1კრ = 25 აკადემიური საათი.

ერთი აკადემიური წელი: 42 კვირა.

სემესტრის ხანგრძლივობა: 21 კვირა (მათ შორის: სასწავლო -15; სასესიო -4; დამატებითი გამოცდები -2).

VI, VII, VIII, IX, X სემესტრები – კურაციული სისტემით სწავლება.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა.

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ცოდნის შეფასებისას შპს უნივერსიტეტი გეომედი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით; „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით“ განსაზღვრული შეფასების სისტემით, რომელიც გულისხმობს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – 91–100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81–90 ქულა;
- (C) კარგი – 71–80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61–70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51–60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – 41–50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით:

სემესტრული შეფასება ითვალისწინებს ორ კომპონენტს - შუალედური და დასკვნითი შეფასება. თითოეულ კომპონენტს თავისი პროცენტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში, რომელსაც თავად განსაზღვრავს პედაგოგი (1) 70/30 ან (2) 60/40, რაც იმას ნიშნავს რომ პირველ შემთხვევაში შუალედური შეფასებები მოიცავს შეფასების 70%, ხოლო დასკვნითი შეფასება - 30%, მეორე შემთხვევაში, შუალედურ შეფასებებს ეთმობა შეფასების 60%, ხოლო დასკვნითს - 40%.

შუალედური შეფასებები დაყოფილია კომპონენტებად (შუალედური გამოცდა, აქტიურობა სემინარზე/პრაქტიკულზე, პრეზენტაცია, ქვიზი, სიტუაციური ამოცანები, ქეისი და ა.შ) ამ კომპონენტების შეფასების პროცენტულ მაჩვენებელს საგნის პედაგოგი საზღვრავს თავად გარდა შუალედური გამოცდისა, რომელიც წარმოადგენს შუალედური შეფასების აუცილებელ კომპონენტს

და მისი პროცენტული მაჩვენებელი (1) 70/30- შემთხვევაში უნდა იყოს 30 ქულა, ხოლო (2) 60/40 - შემთხვევაში - 20 ქულა.

შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც აუცილებელი წინაპირობაა დასკვნითი გამოცდაზე გასვლისათვის არის შუალედური შეფასების მინიმუმ 50%.

• **სასწავლო კურსებში, რომლებიც ითვალისწინებს Mini-Cex-ს (მინი კლინიკური სავარჯიშოს შეფასება),** შუალედური გამოცდა ტარდება შემდეგი სახით:

1. **ტესტი-** მოცემულია 20 კითხვა, თითო საკითხი ფასდება 0.5 ქულით. სულ - 10 ქულა.

2. **Mini-Cex-ს (მინი კლინიკური სავარჯიშოს შეფასება)-** სტუდენტი გამოცდას აბარებს სასწავლო კურსის განმახორციელებელთან და ფასდება მინი-კლინიკური გამოცდის შეფასების ფორმის მიხედვით (იხ.დანართი) ჯამში 10 ქულა.

ქულების რანჟირება:

➤ 2 ქულა - დავალებას ასრულებს კარგად;

➤ 1 ქულა - დავალებას ასრულებს დამაკმაყოფილებლად;

0 ქულა - დავალებას ვერ ასრულებს.

Mini-Cex გამოცდა ტარდება საუნივერსიტეტო სტომატოლოგიურ კლინიკაში.

დასკვნითი შეფასება სემესტრული შეფასების აუცილებელი პირობაა. დასკვნითი შეფასების გადალახვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 50%+1-ია. თუ სტუდენტის ქულა 41-50 ქულამდე მერყეობს, მას ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, ხოლო თუ სტუდენტის ქულა ნაკლებია 41-ზე, სტუდენტს სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტის შუალედური შეფასება ტოლია ან მეტია 51 ქულის, სტუდენტი ვალდებულია დასკვნით შეფასებაში გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

• **სასწავლო კურსებში, რომლებიც ითვალისწინებს OSCE -ს (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა),** დასკვნითი შეფასება ორ კომპონენტია:

1. **ტესტი -** მოცემულია 40 კითხვა, თითო საკითხი ფასდება 0.5 ქულით. სულ - 20 ქულა. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 10 ქულა.

2. **OSCE (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა) -** სტუდენტი საგანს აბარებს 10 აქტიურ საგამოცდო ოთახში (სადგურზე), თითოეულ სადგურში დაყოვნების ხანგრძლივობა ეფუძნება კონკრეტული სადგურისთვის გაწერილი დავალების სირთულეს. თითოეულ სადგურზე მაქსიმალური შეფასება - 2 ქულა, სულ 20 ქულა. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 11 ქულა.

ქულების რანჟირება:

➤ 2 ქულა - პრაქტიკული უნარების დემონსტრირებას ასრულებს კარგად;

➤ 1 ქულა - პრაქტიკული უნარების დემონსტრირებას ასრულებს დამაკმაყოფილებლად;

➤ 0 ქულა- პრაქტიკულად დავალებას ვერ ასრულებს.

• **სასწავლო კურსებში, რომლებიც ითვალისწინებს OSPE -ს (ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა),** დასკვნითი შეფასება ორ კომპონენტია:

1. **ტესტი-** მოცემულია 40 კითხვა, თითო საკითხი ფასდება 0.5 ქულით. სულ - 20 ქულა. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 10 ქულა.

2. **OSPE (ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა) -** სტუდენტი საგანს აბარებს 5 აქტიურ საგამოცდო ოთახში, თითოეულ ოთახში დაყოვნების ხანგრძლივობა შეადგენს 5 წუთს, ერთ სადგურზე მაქსიმალური ქულის რაოდენობა - 4 ქულა, სულ 20 ქულა. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 11 ქულა.

ქულების რანჟირება:

➤ 4 ქულა - პრაქტიკული უნარების დემონსტრირებას ასრულებს ძალიან კარგად;

➤ 3 ქულა - პრაქტიკული უნარების დემონსტრირებას ასრულებს კარგად;

➤ 2 ქულა - პრაქტიკული უნარების დემონსტრირებას ასრულებს საშუალოდ;

➤ 1 ქულა - პრაქტიკული უნარების დემონსტრირებას ასრულებს დამაკმაყოფილებლად;

➤ 0 ქულა - პრაქტიკულად დავალებას ვერ ასრულებს.

OSCE გამოცდა ტარდება საუნივერსიტეტო სტომატოლოგიურ კლინიკაში.

OSPE გამოცდა ტარდება საუნივერსიტეტო სიმულაციურ კლინიკაში.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი აბარებს დასკვნითი შეფასების იმ კომპონენტს/კომპონენტებს, რომელშიც ვერ გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

სტუდენტს უფლება აქვს დამატებით გამოცდაზე გავიდეს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

დასაქმების სფერო

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს უმცროს ექიმად (სტომატოლოგად), რომელიც ასრულებს ექიმის ფუნქციას დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მქონე სუბიექტის მითითებით და პასუხისმგებლობით (საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“, მ.5).

საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს: ა) გაიაროს რეზიდენტურის კურსი და უნიფიცირებული სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება (საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“, მ.17) და/ან ბ) გააგრძელოს სწავლა დოქტორანტურაში, დაკავდეს პედაგოგიური და/ან სა მეცნიერო საქმიანობით.